ცნობის ფურცელი

№ 2409 შაბათი, 14 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2409

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულიად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მარტამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

იორდანე ლევანის ძე ცერცვაძე, ძენი მისნი: ივანე, გიორგი და ასული მარიამი უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი უძვირფასესი მეუღლისა, დანარჩენნი დედის

პელაგია ზენაიშვილის ასულის ცერცვაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებაზე ამთვის 15-სა დილით 9 საათზე დაბა ყვირილაში. საკუთარ სახლი. (2—1)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ორშაბათს, 16 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმ. მუს. ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი სტეფანოვიჩ, ტურჩანინოვა, დელინა, ფედოროვა; ბ-ნი დავიდოვი, ილიუშენკო, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 17 თებერ. „ევგენი ონეგინი“ ქ-ნ ტურჩანინოვას, ბ-ნთ კარჟევინისა და კამიონსკის მონაწილეობით. (0—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ვ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. ამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—16)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—50)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ხეხილის ნერგები
საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება ზომიერ ფასად**
ფ. ავსარქისოვის
მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (6 10—3)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)
11 თებერვალი

პეტერბურგი. გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა, 12 თებერვალს გამოგზავნილი მთავარ შტაბში: „დღეს ღამის პირველ საათიდან სამ ნახევრამდე იაპონელებმა ისევ იერიში მოიტანეს პორტ-არტურზე, მაგრამ ყოველ მხრიდან უკუქცეულ-იყვნენ. დაწვრილებითი ამბები შემდეგში.“

შანხაი („რეიტ. სააგ.“) ხმა არის, რომ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ნება მისცა რუსეთის გემს „მანჯურს“ შანხაიში დარჩეს, მაგრამ გემი ვალდებულია საჭე აიხსნას და უმოქმედოთ იდგეს.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.“). გემ ცნობა მიიღო, რომ იაპონია კორეიას შეუთანხმდა; ამ შეთანხმებით იაპონია უზრუნველ ჰყოფს კორეიის დამოუკიდებლობას და ხელ-უხლებლობას.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ბრძოლის შეწყვეტა ზღვაზე უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პეჩილიის სრუტეში მეტად ცუდი ამინდია: იქ მძვინვარებს ქარ-ბუქი და სულ ბურუსია.

რომი. გაზეთი „პოპოლო რომანო“ ეხება რუსეთ-იაპონიის ომს და ამტკიცებს, რომ იტალიელები არ უნდა თანაუგრძნობდნენ უფრო მეტად იაპონიას, ვიდრე რუსეთს. უმჯობესი იქმნება რუსეთმა თავისი განზრახვა აასრულოს და დაასახლოს მანჯურიის უდაბნოები, გააკეთოს გზები და ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობასა.

სან-სებასტიანი. ორი ქვეითა პოლკი 11 თებერვალს გაიგზავნა კანარის კუნძულებზე.

სტოკჰოლმი. რუსეთ-იაპონიის ომის გამო პარლამენტმა სამხედრო ნავთ-სადგურებად აღიარა კარლ კრონი, ფარეზუნდი, ოლიდი და სტოკჰოლმი.

პორტ-არტური (საკუთ. კორესპ.). 11 თებერვალს, ღამის 1 საათზე, იაპონელებმა განიზრახეს შეეკრათ პორტ-არტურის შიდა რეიდის შესავალი, რისთვისაც ოთხი სავაჭრო გემი ორის მხრით მიაშურეს ნავთ-სადგურს. ეს განზრახვა შეამჩნია შესავალში მდგომმა ჯავშნიანმა გემმა „რეტვიზანმა“ და მაშინვე ზარბაზნები დაუშინა იაპონელების გემებს. „რეტვიზან“-ს მიეშველნენ ციხის ზარბაზნები. სროლამ დილის 5 საათამდის გასტანა. იაპონელებმა თავიანთი განზრახვა ვერ შეასრულეს. ოთხივე მათი გემი დაიღუპა, ორი მათგანი ჯერაც იწვის. კრეისერები „ბაიანი“ და „ნოვიკი“ გამოედევნენ იაპონელების ნაღმიან ნავებს. ამბობენ ერთი ნაღმიანი ნავი კიდეც დაიღუპაო. დილის 9 საათზე პორტ-არტურს მოუახლოვდა იაპონიის ძლიერი ესკადრა. მაშინვე „ნოვიკ-ს“ და „ბაიან“-ს ებრძანა დაბრუნებულიყვნენ. იაპონიის ესკადრას არ უსროლია და ისევ დალნისაკენ წავიდა.

პარიზი. გაზეთ „პტი-პარიზიენ“-ში დაბეჭდილია გერმანიის კანცლერის საუბარი ერთ ფრანგთან. კანცლერს ასე ულაპარაკნია: „სოციალდემოკრატების გარდა გერმანიის ყველა პოლიტიკური პარტიები თანახმანი არიან, რომ რუსეთთან კეთილ განწყობილება სუფევდეს. კეთილი განწყობილება რუსეთთან პრუსიის და მთელ გერმანიის ძველებური ტრადიციაა. იმის თქმა, ვითომ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგია, მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სრულიად არ იცის გერმანიის წარსული და აწმყოო. ბიულოვმა შემდეგ სურვილი გამოაცხადა, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი გაგრძელდეს იმ დრომდე მაინც, სანამ ამ კავშირის საგანი მშვიდობიანობის დაცვა იქნება.

ბერლინი. აქაურს პრესას გაცხარებული სჯა-ბაასი აქვს კუროპატკინის მანჯურიაში სარდლად დანიშვნის გამო. ყველას მოსწონს ეს დანიშვნა და იმედი აქვთ, რომ ეხლა მალე გაიმარჯვებენ იაპონელებზე.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში საფრანგეთის ლიბერალთა პარტიამ დაადგინა: მოკავშირე რუსეთისადმი სიყვარულის დასამტკიცებლად დაჭრილ რუს ჯარის-კაცთა სასარგებლოდ 500 ფრანკი შევწიროთო. სენატის მემარცხნე დემოკრატთა პარტიამ დაადგინა: რუსეთის ჯარისა და ფლოტისადმი სიმპატიის გამოსაცხადებლად დაჭრილ რუს ჯარის-კაცთა სასარგებლოდ 500 ფრანკი გადავდოთო.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში ნათქვამია, მომავალ წელს უნდა აშენდეს 2 სამხედრო გემი, 4 ჯავშნიანი კრეისერი, 14 ნაღმიან ნავთა გამანადგურებელი და 10 წყლის ქვეშ მავალი ნავი. მეზღვაურთა რიცხვს კიდევ 4.000 კაცი მოემატებაო.

პარიზი. პრეზიდენტ ლუბეს მეუღლემ დაავალა, გადასცენ 500 ფრანკი ფრანგ მანდილოსანთა კავშირს და 500 ფრანკი ქალთა კავშირს, რომელნიც რუს დაჭრილ ჯარის-კაცთა სასარგებლოდ შემოწირულებებს ჰკრეფენ.

მოსკოვი. მოსკოვის ეკკლესიებმა წითელ ჯვრის სასარგებლოდ გადასდეს 150,000 მანეთი, მონასტრებმა 26,000 მანეთი —დღეს შორეულ-აღმოსავლეთში გაიგზავნა 10 ვაგონი თბილი ტანისამოსი და ივერიის წითელი ჯვრის საზოგადოების სანიტართა რაზმი, რომელიც 56 კაცისაგან შესდგება.—მოსკოვის საგუბერნიო საერო კრებას გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „შორეულ-აღმოსავლეთის ჯარსა და ფლოტთან ერთად წრფელის გულით ვმადლობ მოსკოვის ერობას მშობლიურ სალამისთვის. ყველა რუსის თანაგრძნობა უსაზღვროდ გვაფრთოვანებს და მზად ვართ ჩვენის სიცოცხლის დაუზოგავად დავიცვათ თაყვანსაცემ მონარქის სასახელოდ ძვირფას სამშობლოს პატიოსნება და ღირსება. „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის გმირობა თავმდებია იმისი, რომ რუსეთის სახელოვანის მხედრობის სიძლიერე შეურყეველია და მუდამ სიმართლის მცველი ღმერთი გვიშველის ვერაგ მტრის ღირსეულად დასჯას და რუსეთისთვის სასურველ მშვიდობიანობის დამყარებას“.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)
12 თებერვალი

ლონდონი. იაპონიის საფინანსო აგენტმა ლონდონში, მაინოცი არაკავამ, ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, თუ ომი გაგრძელდა, შესაძლებელია ახალი ვალის—100 მილიონ იენის—აღება დაგვჭირდესო. პირველი სესხი კარგად დაიფარა. ეხლანდელი ნაღდი ფული გვეყოფა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებისთვის. შესაძლებელია, როცა აპრილში პარლამენტი შეიკრიბება, მთავრობა მოითხოვს შემოსავალსა და მიწაზე ახალ გადასახადის გაწერას, შაქარზე აქციზის დაწესებას და ვალების გადასხდის დაცდას.

პარიზი. საღამოს გაზეთებში „რუსეთის გამარჯვების“ სათაურით დაბეჭდილი დეპეშა პორტ-არტურში რუსების მარჯვე მოქმედების შესახებ, რაიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და პარიზის კულუარებში ცხარე ბაასსა და რუსეთისადმი თანაგრძნობას იწვევს.

პორტ-არტური. გენერალ მაიორის ფლუგის მოხსენება 12 თებერვალს: „დღეს ღამის 1 საათიდან $3^1/_2$ საათამდე მტერმა პორტ-არტურზედ იერიში მოიტანა, მაგრამ ყველგან განდევნილ იქმნა“.

ვლადივოსტოკი. დილით, შორს ჰორიზონტზე, გამოჩნდა ცხრა გემი, მაგრამ მალე გაჰქრა.

ლონდონი. „დეილი ექსპრესს“ ატყობინებენ: როგორც ვლადივოსტოკში მყოფ ინგლისის სავაჭრო აგენტს უთქვამს, რუსეთის სამხედრო მოხელეებმა წინდადება მისცეს ინგლისის ქვეშევრდომთ ქალაქიდან წავიდნენ.

სელბორნი უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომ ამერიკაში ნაყიდ იაპონიის გემებს ნება მიეცათ ინგლისის ბაირაღებით იმგზავრონ.

ვაშინგტონი. სეულში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება კორეიასა და იაპონიას შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ. ამ შეთანხმების ძალით კორეისთვის უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის ხელუხლებლობა.

ღამის დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)
13 თებერვალი

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი ინფანტერიის გენერალის გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის სახელზე: „ალექსი ნიკოლოზის ძევ! 1898 წლიდან თქვენ სათავეში უდგეხართ სამხედრო უწყებას და შრომის მოყვარეობით და მტკიცედ ცდილობდით შეგესრულებინათ ჩემ მიერ მოწონებული რეფორმები მხედრობის განსავითარებლად და იცავდით ჩვენის ჯარის სამხედრო ძალას, რომლით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარება. თქვენი შრომა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ დადგა დრო, როდესაც იძულებული შევიქენი მომეწია ჩვენის სახელოვანის მხედრობის ერთი ნაწილი რუსეთის სახელისა, ღირსებისა და შორეულს აღმოსავლეთში ჩვენის უფლებათა დასაცველად. ვიცი თქვენი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, სტრატეგიული მომზადება და ომში გამო-

ცდილება, და ამიტომ კეთილად გსცანი მომენდო თქვენთვის მანჯურიაში იაპონელთა წინააღმდეგ მოქმედ ჩემს ჯარის სარდლობა, რისთვისაც გაგანთავისუფლეთ სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან. ღმერთი შეგეწიოთ; რათა მარჯვედ აასრულოთ ჩემი მძიმე მონდობილება თქვენ მიერ თავგანწირვით მიღებული. გშორდებით რა, მსურს გამოგიცხადოთ ჩემი უღრმესი მადლობა ექვსი წლის ბრწყინვალე მუშაობისათვის ჩემის საყვარელი ჯარის სასარგებლოდ და ამიტომ გიბოძებთ ბრილიანტის ნიშნებს წმინდა კეთილ-მორწმუნე დიდის მთავრის ალექსანდრე ნეველის ორდენისას და გიბრძანებთ წესისამებრ ატაროთ ეს ჯილდო. დაგილოცავთ გზას შორეულ-აღმოსავლეთში და განდობთ გადასცეთ ჩემს სახელოვან ჯარებს ჩემი მეფური სალამი და ჩემი კურთხევა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. დავშთები თქვენი კეთილის მსურველი.“ ნამდვილზე მის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელით დაწერილია: და თქვენი მადლობელი „ნიკოლოოზი“. 1904 წლის 12 თებერვალი, პეტერბურგი.

ვენა. სამხრეთ სლავიანთა 200-დე სტუდენტმა მანიფესტაცია მოახდინა რუსეთის საელჩოს წინ პორტ-არტურთან იაპონელების უკუქცევის აღსანიშნავად.

ვიქტორია. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი, მარკიზ იტოს სიძე აქ მოვიდა და ლონდონში მიემგზავრება. ლონდონში წასვლის მიზეზად ასახელებენ იაპონიის სურვილს სამხედრო საჭიროებისთვის სესხი აიღოს.

ამსტერდამი. ბატავიიდან იტყობინებიან, რომ ჯარების მობილიზაციისათვის იქ ყველაფერი მზად არისო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ერთის დეპუტატის შეკითხვის პასუხად ლორდმა სელბორნმა განაცხადა: გენუაში ინგლისის კონსულის წინაშე აღძრული შუამდგომლობა ამის შესახებ, რომ იაპონელ გემებს „ნისსინ“-სა და „კასუგა“-ს იაპონიაში წასასვლელად ნება ჰქონოდა ანგლისის დროშა აეფრიალებინათ, დაუყოვნებლივ უარყოფილ იქნა. შემდეგ სელბორნმა განმარტა, რომ იაპონიის მთავრობამ ხსენებულ ორის გემის წასაყვანად ინგლისის აფიცრებად ნამყოფი მეზღვაურები აირჩია და უარჰყო ის ცნობა, ვითომც ხმელთა შუა ზღვაზე იაპონიის გემები ინგლისის სამხედრო გემებს გაეცილებინოთ.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის მხედრობისა და ფლოტის სარდლები. როგორც ვიცით, რუსეთის მხედრობისა და ფლოტის მთავარ-სარდლად შორეულ-აღმოსავლეთში დანიშნულია ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ადმირალი ე. ი. ალექსეევი. მთავარ-სარდალი ამ ჟამად 60 წლისაა. ალექსეევმა 1853 წელს საზღვაო კადეტთა კორპუსი გაათავა და ფლოტის სამსახურში ჩაირიცხა. 1867 წელს ლეიტენანტობა მიიღო და ხმელთა შუა ზღვის ესკადრის უფროს კონტრ-ადმირალ ბუტაკოვთან ადიუტანტად დაინიშნა. 1878 წელს კრეისერ „აფრიკას“ უფროსობა მიიღო, მთელ ქვეყნიერობას გარს შემოუარა ზღვით და 1883 წელს რუსეთს დაბრუნდა. 1885 წ. 1 რანგის კაპიტნობა და კრეისერ „ადმირალ კორნილოვი“-ს უფროსობა მიიღო. 1892 წელს კონტრ-ადმირალობა ებოძა და საზღვაო მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა. 1895 წ. ჩინეთ-იაპონიის ომის დროს შორეულ-აღმოსავლეთის ესკადრის უფროსად განწესდა. 1897 წ. შავი ზღვის ფლოტის დივიზიის ფლაგმანის თანამდებობა მიიღო. ამის შემდეგ კვანტუნის ოლქის ჯარის სარდლობა ებოძა და დასასრულ, 1902 წელს ხელმწიფის ნამესტნიკად დაინიშნა შორეულ-აღმოსავლეთს.

7 თებერვალს უმაღლესის ბრძანებით რუსეთის ჯარის უფროსად მანჯურიაში სამხედრო მინისტრი ინფანტერიის გენერალი გენერალ-ადიუტანტი ა. ნ. კუროპატკინი დაინიშნა. კუროპატკინი 1848 წელს დაიბადა. სამხედრო განათლების დამთავრების შემდეგ კუროპატკინმა აფიცრობა მიიღო და 1868 წელს სამარკანდს მებრძოლ ჯარში გაიგზავნა. ამის შემდეგ კოკანდზე გალაშქრებაშიაც იღებდა მინაწილეობას. ამ ლაშქრობის დროს კუროპატკინი ცნობილ გენერალ სკობელევის უფროსობის ქვეშ მსახურებდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1879 წელს, კუროპატკინი სკობელევის რაზმის შტაბის უფროსად იყო და მონაწილეობა მიიღო ლოვჩასთან ბრძოლაში და პლევნაზე იერიშის მიტანის დროს. ბალკანის მთაზე გადასვლის დროს ისე მძიმედ დაიჭრა, რომ იძულებული იყო ომის გათავებამდე შინ დაბრუნებულიყო. 1879 წელს ისევ მებრძოლ ჯარში ჩაირიცხა თურქესტანის ოლქში 1880 წელს გეოკ-თეფეს აღების დროს კუროპატკინი სკობელევის რაზმის მარცხენა ფრთას წინამძღოლობდა. რუსეთში თუ საზღვარგარედ დიდი იმედი აქვთ კუროპატკინის სამხედრო ცოდნისა, გამოცდილებისა, ნიჭისა და გამბედაობისა.

მოკლედ გავიხსენოთ, რომ იაპონიის ფლოტის უფროსად ადმირალი ტოგოა დანიშნული, ჯარის მთავარ-სარდლად გენერალი კოდამა. ადმირალ ალექსეევისა და ადმირალ ტოგოს სამხედრო უნარი და ფხა ცოტაოდნად გავიგეთ, ეხლა მალე გენერალ კუროპატკინისა და გენერალ კოდამას შნოსა და გამჭრიახობის ამბავიც მოგვივა.

იაპონიის განზრახვა და „ყვითელი საფრთხე“. პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფს ბ-ნ კურინოს ბერლინში ყოფნის დროს ჟურნალისტები მიუღია და ამერიკულ გაზ. „შიკაგო დეილი ნიუს“-ის თანამშრომლისათვის, სხვათა შორის, უთქვამს: „თუ იაპონია გაიმარჯვებს, არც კორეისა, არც ჩინეთში ადგილებს არას დროს არ დაიჭერს. ამას გარდა იაპონია არას დროს არ უღალატებს ღია კარების პოლიტიკას და ჩინეთის ნავთსადგურებში არც ერთს ერს არ მოუსპობს ვაჭრობის უფლებას. გერმანულ პრესას ეშინიან, ვაი თუ იაპონიამ ევროპასა და ამერიკას ჩინეთის ბაზრები სამუდამოდ ჩაუკეტოსო. მაგრამ ამ შიშს არაფერი საფუძველი არა აქვს. ტყუილია ევრეთვე ის ცნობაც, ვითომ იაპონიას თავის ბაირაღზე „აზია აზიელთათვის“ ეწეროს და მთელის ყვითელ მოდგმის შეერთებას აპირებდეს აზიიდან თეთრის ერების განსადევნადაო. ეს სულ ტყუილი ჭორებია. ამ ტყუილ ცნობებს ჩვენი მტრები ავრცელებენ ევროპის შესაშინებლად. ჭორების შემთხზველთ ის კი აღარ ახსოვთ, რომ ყვითელი მოდგმის შეერთება ადვილი საქმე არაა, ავიწყდებათ, რომ იაპონიისა და ჩინეთის ერს შუა დიდი ზღვარი დევს. იაპონიას გულწრფელად ჰსურს, რომ ჩინეთმა ნეიტრალიტეტი მტკიცეთ დაიცვას. თუ ჩინეთში რაიმე აჯანყება და არეულობა მოხდა, მაშინ საქმეში სხვა სახელმწიფოები გაერევიან და იაპონიას ხელს შეუშლიან. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთს მარტოდ-მარტო გავუმკლავდეთ“.

დასასრულ კურინოს უთქვამს, იაპონიამ თავისი საფინანსო საქმე მშვენივრად მოაწყო. იმედი მაქვს, ომი მალე გათავდეს, მაგრამ გინდ დიდხანსაც გაგრძელდეს, მაინც არა მგონია, იაპონიას გარედ ფულის სესხება დასჭირდესო („პეტ. ვედ.“).

ფრანგ ადმირალების აზრი იაპონიის ფლოტზე. საფრანგეთის ფლოტის სათადარიგო დივიზიის უფროსი კონტრ-ადმირალი ქორევიბერი კარგად იცნობს თურმე იაპონიის ფლოტს: ჩინეთ-იაპონიის ომის დროს სამხედრო მოქმედების დასათვალიერებლად ყოფილა გაგზავნილი. ამ ადმირალს უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის: ჩემის აზრით, იაპონიის ფლოტი იგივეა, რაც ინგლისის ფლოტი. იაპონიის გემები ისე ჰგვანან ინგლისისას, რომ ინგლისის და იაპონიის მეზღვაურებს რომ გემები შეუცვალოთ, იქნება ვერც კი შეამჩნიონ, რომ თავის გემის მაგივრად სხვა გემზე მოექცნენ. ამით სულაც არ ვამცირებ იაპონელ მეზღვაურებს, მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ იაპონიამ თავისი ფლოტი ინგლისის მსგავსად ააშენა. ეხლა შორეულ-აღმოსავლეთში ჩვენთვის, მეზღვაურებისთვის, მეტად საინტერესო ამბები ხდება. ჩვენ აშკარად ვხედავთ, თუ რა დიდ როლს თამაშობენ ეხლანდელ საზღვაო ბრძოლაში ნაღმიანი გემები. ნაღმიან გემს, მეტადრე თუ ყოჩაღ, მხნე და ფოლადიან მეზღვაურების ხელშია, დიდი ძალა ჰქონია და დიდი ზარალის მოტანა შესძლებია. იაპონელი მეზღვაურები კი მეტად უშიშარი, მამაცი და მედგარი ხალხი არიან საზოგადოდ იაპონელებს სიკვდილი არაფრად არ მიაჩნიათ. 1894—1895 წ.წ. იაპონელები ისეთ მიუვალ ციხეებზე მიდიოდნენ იერიშით, რომ მამაცი ევროპიელი რაზმიც-კი ვერ გაჰბედავდა ამ ციხეების აღებას“.

ფრანგ ვიცე-ადმირალს ბიენემეს უთქვამს: „ეხლანდელი ომი იმითია საინტერესო, რომ ერთმა ამერიკელმა მეზღვაურმა აფიცერმა რამდენისამე წლის წინად რუსეთ-იაპონიის ომზე წიგნი დასწერა და ყველაფერი, რაც ეხლა ხდება, დაწვრილებით იწინასწარმეტყველა. ამერიკელ აფიცრის წინასწარმეტყველება ეხლა სიტყვა-სიტყვით ასრულდა. მგონია, რომ ამ ომის საქმე ზღვაში გადასწყდება. რუსეთისა და იაპონიის ბედს ფლოტი გადასჭრის“.

ვიცე-ადმირალ გურდონს უთქვამს: „ნაღმიანი გემი საშინელი რამაა. დღისით კიდევ შეიძლება იმისი მოგერება, ღამე კი მეტად ძნელია. თუ კრეისერი ერთ ადგილას დგას, ათასაც გაფრთხილდეს, მაინც ნაღმიანი გემი თავისას იზამს. სამხედრო გემს ღამე თავის დღეში არ გავაჩერებ, ერთს ადგილას არ დავაყენებ. მარტო დღისით გაჩერება მწამს. ღამე დარაჯობის დროს მეზღვაური მალე ჰკარგავს სიდინჯეს. ყველგან ნაღმიანი გემები ელანდება და მუდამ აშფოთებულია, მთელს ღამეს შიშის თვალით ათენებს. ესეთი მუდმივი შეწუხება-კი

ფელეტონი

ხევსურეთში

წლევანდელი ზამთარი.—რაღაც ავი სენი ს. ჩირდილში და ჩვენი თავზარი.—იქნება ველირსოთ ფერშალს და გზებს!—ჩვენებური გაიძვერები და ვაჭრობა ცოლებით.—აქაური სამღვდელოება და დათვის უპურმარილობა.

რომ იტყვიან კახელები დაცინვით—მშვენიერებააო, სწორედ ასეთია წელს ზამთარი ხევსურეთში. რომ იტყვიან ქართლელები—ცქვიტი დილააო, ესეც ზედ გამოჭრილია. მართლაც, რას უწოდებთ მთლად თეთრის მარმარილოთი დაგებულს ორმოცის თუ სამოცის ვერსის მანძილზე ხეობას და ამგვარადვე თეთრად ჩამოყინულს ფრიალო კლდეებს, თუ არ მშვენიერებას? დიახ, ხევსურეთი დღეს სწორედ ყინულის საცეკვაო ზალაა და ჩვენც ძალაუნებურად ვცეკვავთ. რას უწოდებთ, თუ არ ცქვიტს, იმ დილას, რომელიც აფთარივით ფრჩხილებს გიყრის გულღვიძლში რამწამს გამოაბიჯებ კარსა? თვით ხევსურებიც ამბობენ, დიდი ხანია ეს სუსხი არ გვიჭამიაო. ეს ნამდვილიც უნდა იყოს. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ დღეს ხევსურების ქალები თათებ ჩაცმულნი დაიარებიან და არა ფეხშიშველები წინანდებურად.

ამ მძაფრის სიცივის მიზეზი ის არის, რომ თოვლი არ მოვიდა წლეულობით ხევსურეთში. დღეს 16 იანვარია და ხევსურეთი მხოლოდ მოფერფლილია, კვლავ კი ამ დროს ორი ადლი თოვლი დებულა. მძაფრის სიცივის გამო თვით ტყემაც კოკორი ვერ შეიმოსა და ნეკრაობა შეჩერებულია. იქნება ეს საჭირო არც კი იქნებოდა (წელს კარგა ბლომად დათიბეს მთები), რომ ამ ზაფხულს დათიბული თივები მთებზე უთავლობით დღესაც დაუთარავი (შესაკრები) არ დარჩომოდათ. არამც თუ მთაზე ასვლა, სოფლიდან სოფელში ველარ მივსულვართ. ერთი რომ საქმისთვის მივდივართ, თან ორი და სამი კაცი წერაქვით და ქანჩებით წინ მიგვიძღვის ყინულის საფეხურების საკეთებლად. ესეც ცხოვრებაა, მა რა ჯანაბაა?! ერთს თელაველს ჩარჩს მეტად მოსწყურებოდა მათურას ნახვა, უნდოდა ამ ზამთრობით მიეწვდია რამ თავის ნაცნობებისთვის, მაგრამ იმანაც იკოტრიალა და სიკვდილს ძლივს გავაგდებინეთ. თვით მე, თქვენმა მორჩილმა მონამ, მოვინდომე ბეულადაურთ ნახვა ნოემბრის მიწურულებში, ისიც ცხენით, და ცოტას გარჩა მეგრელების ანდაზა არ გავამართლე: კვერნა საშოვარზე წავიდა და ტყავიც იქ დასტოვაო. არა მჯეროდა, რასაც ამბობდნენ, მაგრამ დამაჯერა, როდესაც ცხენი მარჯვნივ წავიდა და მე მარცხნივ. როგორც იყო, ამოვაცურეთ თუ ამოვცურდით და ხიფათს გადავრჩით.

ამ გარემოებამ, თუ კაცის ბუნებაა ასეთი, ჩემში აღძრა ახალი ლტოლვილება გადმევლო შატილის და არხოტის ქედები, ავსულიყავ კავკასის მწვერვალოზე და იქიდან დამეხედა ჯერეთ ისევ მოძრავ ჩემის ქვეყნისთვის, მაგრამ ამ ჩემს ხეპრულს აზრს არ მიეცა სისრულე, ჩემ მიერ დამოუკიდებელი მიზეზისა გამო. თუ ბევრი არა, ცოტა რამ მაინც წამიკითხნია კუნძულ სახალინზე, გრელანდიაზე და სხვ., ვადარებ ხევსურეთს და პირველობას ვერ დავუთმობ იმათ. იქ ძაღლებით მაინც შეიძლება სიარული, მაშასადამე, მიტან-მოტანა რისამე, აქ იმასაც მოკლებულნი ვართ. მე დღევანდლამდის მეგონა, ხევსურეთი ფრინველის მოშენებას არ მისდევს სივიწროვისა გამო, მაგრამ არა, თურმე ზამთრის სიცივის უხოცნია და ეს თვალ-საჩინოდ დამიმტკიცდა დღეს. ამიტომაც არის, რომ ზამთრობით მარტოოდენ ყვავებს თუ დაინახავთ მფრინავთ აქ, თორემ სხვას ვერას. საქონელი მთლად ბოსელში გვყავს ჩვენთან ერთად მოქცეული და ადგილობრივ თოვლის წყალს ვასმევთ, გარედ ვერ გამოგვისხავს.

ასეა ჩვენი ცხოვრება. ვსხედვართ გულხელ დაკრეფილები, ან კიდევ ვწევართ დუღრებში გახვეულები. ეს სასარგებლოც არის: საკვები ცოტა გვინდება. ჩვენი წისქვილებიც ხომ მთლად შესვენებულია. აქამომდე დღეღამეში კოდს გვიფქვავდნენ, დღეს ორ ლიტრასაც ვაი-ვაგლახით ძლივს გვიროშავენ. სიტყვამ მოიტანა და არ ვიცით, ვის რად დასჭირებია ჩვენი წისქვილების რაოდენობა, რომ გვიწერენ. ხარჯი ხომ არ უნდა დაადონ ჩვენს დოლაბებს? სწორედ აღარსად დაეტევა აქედან აკრეფილი ფული.

წელს სხვაფრივაც შესანიშნავი შექმნა ჩვენთვის ზამთარი. ავილოთ ჩირდილში გაჩენილი ავადმყოფობა. სწორედ ვერც-კი შევიტყეთ, რა სენი იყო და შიშმა-კი დაგვლია მთლად. ზოგი ჭირს უძახდა, ზოგი თათრულს ყვავილს, ზოგი სახადს, ყელჭირვებას, ქუნთრუშას და სხვ. კაცი არ იყო, რომ სინამდვილისთვის მიეგნო. ყველანი თოფ-ნაკრავებივით გავრბოდით. საკმაო იყო სახელი ჩირდილელი გაგვეგონა, რომ სათოფეთ არ მივსდგომოდით და არც სოფლის ახლოს გვევეტარებინა. ამიტომაც მამას შვილი თვითონ მიჰქონდა სამარის კარს და შვილს მამა. ეს გარემოება თუმც მთავრობას ეცნობა, მაგრამ ამ ყინულეთში ვინ მოგვეშველებოდა, თავი ვის მოსძულებოდა!?. ვიყავით ღვთის ანაბარად ბევრად უფრო ზარდაცემულნი და შიშით შეპყრობილნი, ვინემ ვესტლიანკის მცხოვრებნი ჟამის დროს, კიდევ კარგი, რომ ღმერთმა გვიბრალა და ჩქარა გადაიარა. დღეს თითქმის ჩირდილში აღარავინ მოსჩანს ამ სენით შეპყრობილი. ასეთმავე რაღაც ავადმყოფობამ იჩინა თავი ს. ზემო ახოში, მაგრამ აქაც გაიარა. თუმც სიფთხილეს თავი არ ასტკივა და ძალიან კარგი იქნება, ამ ზაფხულზე ყურადღება მიექცეს ხევსურების ნეხვით ავსილს კარ-მიდამოებს. რა ვიცით, იქნება ამ ყინვებმა დროებით მიასუსტა სენი და გაზაფხულზე იმანაც გაიზაფხულოს და კოკორი გაშალოს. ს. ზემო ახოს სენი რაღაც ძალიან ცუდი თვისებისაცა სჩანდა.

ხევსურების სანაქებოდ უნდა გითხრათ, რომ არც ერთს ჩვენის ქვეყნის კუთხეში არ იციან ისეთი კარანტინი, როგორიც სცოდნიათ ხევსურებს. ეს მკაცრი წესები აღმოცენებულია ადგილობრივ გარემოებათა წყალობით, იმ გარემოებათა, რომ თუ აქ მტერი როგორმე შემოიპარა, მეტად ძნელიღაა მისი გარედ გაყვანა. აქ არავითარი სამკითხველო, ჰიგიენური და სხვა გვარი საშუალება არ მოიპოვება გადამდებ სენის მოსასპობად. თვით ადგილიც იმგვარად შემოზღუდულია მაღალის მთებით, რომ ჰაერის მოძრაობა შეუმჩნეველია. აქ ქარი თითქმის სულ არ იცის. ეს კარგიც არის: ქარი რომ იცოდეს, სიცივე ერთი ორად იმატებდა და ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა. ქარი იცის მაღლა მთის მწვერვალებზედ, არხოტზედ და მისს თანამოძმეებზედ და თუ ვისმე ცოდვებმა უწია და მოასწრო აქ ქარმა, ვგონებ, რაც უნდ ათქმები დაუდვას წმინდანებს და ლოცვები წარმოსთქვას, სიკვდილს ვერ ასცდეს.

დიახ, წელს რაღაც ცუდი ავადმყოფობა გვეწვია, ეხლაც ზარალობს ხალხი და სწორედ არ ვიცით, რით? იმედია, საკვლაოდ მაინც ეს სიდუხჭირე თავიდან აგვშორდება, რადგან ჩვენც ველირსებით ამ მოკლე ხანში ფერშალს და პატარა აფთიაქს. მადლობის ღირსია ჩვენი მაზრის უფროსი, რომელმაც

მეტად ცუდად მოქმედებს მეზღვაურებზე. მიტომ ერთ ადგილას დგომა, გაჩერება მეტად მეჯავრება. ჩემი გემი ყოველთვის მოძრაობაშია, ყოველთვის მოქმედებს.. ეს ერთად ერთი წამალია ნაღმიან გემების წინააღმდეგ“ („რ. სლ.“).

ელიზე რეკლიუს აზრი იაპონიაზე. განთქმულ გეოგრაფს ელიზე რეკლიუს კარგა ხნის წინად შემდეგი დაუწერია იაპონელებზე: „იაპონელები ყოჩაღი, მედგარი, თავმოყვარე, ამაყი, და სახელის მოყვარე ხალხია. თავის თავის იმედიც დიდი აქვს. ევროპის ცივილიზაციის არ ერიდებიან; რაც კარგი აქვთ ევროპიელებს, ყველაფერს სწავლობენ, მაგრამ არც თუ თავიანთ საკუთარ ცივილიზაციას ივიწყებენ. მართალია ევროპის განათლება, კულტურა სწამთ, მაგრამ ევროპიელებს სულაც არა სცემენ თაყვანს. იაპონელების აზრით, იაპონია გაცილებით მაღლა დგას ევროპაზე. ზოგიერთში იაპონელები ნამდვილად მაღლა დგანან და უფრო განათლებულებიც არიან, ვიდრე ევროპიელები. პატიოსნებითა, სახელის მოყვარეობითა, თავმომწონეობითა, მოთმინებითა, სიფხიზლითა, ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით, იაპონიის ხალხი, ეჭვი არაა, ევროპის განათლებულ ერებზედაც-კი მაღლა სდგას.

იაპონელები არც სიმამაცეში ჩამოუვარდებიან ევროპიელებს. დარწმუნებული ვარ, თუ რუსეთს, ან ევროპის სხვა რომელსამე სახელმწიფოს იაპონიასთან შეტაკება მოუვა, „ამომავალ მზის ქვეყნის“ ხალხისაგან კარგს, საკადრისს პასუხს მიიღებს. აქამდე ევროპიელი ჯარები სხვაგნებურ ერებს ყოველთვის ადვილად ამარცხებდნენ, იმიტომ რომ სხვაგნებურ ერებს არც დისციპლინა ჰქონდათ, არც იარაღი, მაგრამ სულ სხვაა იაპონიის ერი: უბრძოლველად არავის ჩაუვარდება ხელში“ („რ. ს.“).

ამერიკულ გაზეთების აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. ამერიკული გაზ. „ჯორნალ“-ი სწერს: „ამისთანა ომი ჯერ ქვეყნიერობას არ უნახავს. ორი მეტად მძლავრი, ჯანითა და ღონით სავსე ერი ებრძვის ერთმანეთს. ორსავეს საუკეთესო იარაღი აქვს, ორსავეს საუკეთესო ჯარი, ფლოტი და სარდლები ჰყავს. ამ საშინელ ბრძოლის ამბავს ისტორია არას დროს არ დაივიწყებს. მთელი კაცობრიობა დიდის ინტერესით ჰკითხულობს, ვინ გაიმარჯვებს ამ საშინელ ბრძოლაში: შედარებით პატარა იაპონია, თუ უზარმაზარი, თვალგადუწვდენელი რუსეთიო. ჯერ-ჯერობით არავის შეუძლიან ამის გამოცნობა. პირველის შეხედვით რუსეთმა უსათუოდ უნდა გაანადგუროს იაპონია, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ჩინეთსაც დიდი იმედი ჰქონდა გამარჯვებისა, როცა 1894 წელს პატარა იაპონიასთან ომი დაიწყო... მძლავრი ინგლისი თითქმის სამს წელიწადს მოუნდა 300 ათასის ბურის დამარცხებას. იანგარიშეთ რამდენი ხანი დასჭირდება რუსეთს, რომ 48 მილიონი იაპონელი დაამარცხოს... თუ ამ ანგარიშს კარგად დაუფიქრდებით, მიჰხვდებით, რომ მეტად ძნელი გამოსაცნობია, რით გათავდება ეს ომი. ამერიკულ ჟურნალ „კოსმოპოლიტან“-ში ჯონ უოლკერი სწერს: „ომის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ეხლანდელი ომი კი სამართლიან ომად მიმაჩნია. იაპონია სიმართლისთვის იბრძვის. ამერიკამ ყოველი დახმარება უნდა გაუწიოს იაპონიას. ეხლა მეტად მარჯვე წამია. ამერიკამა, ინგლისმა და იაპონიამ ან ეხლავე უნდა დაამარცხონ რუსეთი, ან არა და მთელი აზია უ-ლაპარაკოდ რუსეთს უნდა დაუთმონ. თუ ეხლა ამერიკა გულ-გრილად მოეკიდება საქმეს, შემდეგში მეტად ბევრს ინანებს. თუ რუსეთმა გაიმარჯვა, ჯერ მთელს ჩინეთს დაიჭერს და მერე ინდოეთსა და სპარსეთსაც ადვილად ჩაიგდებს ხელში. რაკი რუსეთი ჩინეთს დაიჭერს, მთელის კაცობრიობის ორი მესამედი იმის ხელში იქმნება. მაშინ რუსეთი ურიცხვ ჯარს შეჰკრებს და მთელის ქვეყნიერობის ბატონი გახდება. ვიმეორებ, ამერიკამ ეხლავე დიდი დახმარება უნდა გაუწიოს იაპონიას, თორემ მერე გვიანღა იქმნება“ („პეტ. ვედ.“).

რუსეთის პრესსა ომის შესახებ

გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ „მოსკოვ. ვედომ.“-ის აზრი ახლანდელ ომის შესახებ. ეხლა გავაცნობთ მკითხველთ მეორე კონსერვატიულ გაზეთის „გრაჟდანინ“-ის მოსაზრებათ.

თავ. მეშჩერსკის ცნობილმა გაზეთმა განსაკუთრებული და თანაც გასაკვირველი პოზიცია დაიჭირა ომის შესახებ აღძრულ სჯაბაასში. მაშინ როდესაც ყველა სხვა კონსერვატიული და ბევრი ლიბერალური გაზეთიც მუქარითა და მრისხანებით სწერს, „გრაჟდანინ“-ი არა ჩვეულებრივ ზომიერებას იცავს და ამშვიდებს პრესსას. მართალია, „გრაჟდანინ“-ს, როგორც რუსები ამბობენ, „კვირაში შვიდი პარასკევი აქვს“ და შეიძლება შემდეგში კილო გამოიცვალოს, მაგრამ მაინც საინტერესოა, რას ჰფიქრობს და რასა სწერს ეს, ზოგიერთ გავლენიან წრეებში კარგად მიღებული, გაზეთი.

თავდაპირველად „გრაჟდანინ“-ი გულისწყრომით ამბობს: „ზოგიერთ რუსულ გაზეთებმა მონოპოლიად დაისახეს პატრიოტიზმი და ისეთის კილოთი სწერენ, თითქო მათ გარეშე არავის არ ესმის, რას მოითხოვს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი; ეს გაზეთები შოვინისტურ მანიფესტებს სცემენ და ვინ იცის, რას არ მიედებ-მოედებიან“. ერთი გაზეთიო, მაგალითად, განაგრძობს „გრაჟდანინ“-ი ასეთს მუქარას ჰბეჭდავსო:

„უმჯობესია პირდაპირ ვილაპარაკოთ; თავი დავანებოთ დიპლომატიურ გაუგებარ კილოსა და გადაჭრით ვთქვათ, რაც გვინდა. რუსეთმა სისხლი დაღვარა და მანჯურია ისე დაიჭირა; რკინის გზა გაიყვანა და ამრიგად შემოიერთა ეს ქვეყანა. ამიტომაც მანჯურიას სავსებით და სამუდამოდ უნდა დავეპატრონოთ. რუსეთს არავისი არ უნდა ეშინოდეს და თავისუფლად უნდა იმოქმედოს... მანჯურიის გარდა კორეასაც უნდა დავეპატრონოთ. ჩვენ უნდა გავდევნოთ იაპონელები კორეიდან, თუნდაც ომი 5 და 6 წელიწადს გაგრძელდეს.

თავ. მეშჩერსკი განცვიფრებაში მოჰყავს ამ სიტყვებს. შოვინისტურ გაზეთს არაფერი არ მიუღია მხედველობაშიო, სწერს „გრაჟდანინ“-ი: არც ხელმწიფის გადაწყვეტილება, არც რუსეთის მდგომარეობა, არც სხვა სახელმწიფოთა სურვილიო. „მე ყველა ამ გარემოებას ვიღებ მხედველობაშიო, ამბობს თავ. მეშჩერსკი, და ვფიქრობ, რომ

რუსეთის ინტერესი სრულიად არ მოითხოვს მანჯურიისა და კორეის დაპყრობას. გავბედავ და ვიტყვი, რომ რუსეთის ღირსება სრულიად არ დაიჩაგრება, თუ ომის დასასრულ ჩვენი ხელმწიფე ისეთ დადგენილებას მოახდენს, რომელიც საფუძვლად დაედება იაპონიასთან და კორეასთან შეთანხმებას,—შეთანხმებას იმდენად მკვიდრსა და ორისავე მხარისთვის იმდენად სასარგებლოს, რომ ჩვენს მეფეს თავისუფლად შეეძლოს მთელი ძალ-ღონე რუსეთის შინაურ ცხოვრების რეფორმას მოახმაროს. საქმის ასეთი დაბოლოვება თავიდან აგვაცილებს იმ საშინელ ომს, რომლის 5-6 წლის განგრძობას ასე გულგრილად თხოულობენ შოვინისტ-პატრიოტები“.

განა სიმართლე არა ვთქვით ზემოდ, რომ „გრაჟდანინ“-ი არა ჩვეულებრივ ზომიერებას იჩენს? ზოგი გაზეთი იმდენად გაიტაცა უკიდურეს შოვინიზმმა, რომ გაიძახის სრულიად უნდა გავსწყვიტოთ იაპონელები, რათა მათი სახსენებელიც არ დარჩესო. ასეთ ფანატიკოსურ სიტყვების შემდეგ თავ. მეშჩერსკის რჩევა მტერთან შეთანხმების შესახებ სწორედ იდეალური ალტრუიზმია.

* * *

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. მელიქიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან **შემდეგი დეპეშა მიიღო:** „ხელმწიფე იმპერატორმა, როდესაც უქვეშევრდომილესად მოვახსენე თქვენის ბრწყინვალების დეპეშა, რომელშიაც გამოთქმული იყო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა უქვეშევრდომილესი გრძნობანი შორეულ აღმოსავლეთის ამბებისა გამო, კეთილ ინება და ბრძანა: **„გულით ვმადლობ გამოთქმულ გრძნობათათვის“.**

◆ როგორც რუსული გაზეთი „კურ.“ გადმოგვცემს, ბაქოს ნავთის მწარმოებელნი აარსებენ თურმე **„კავკაზ-ჩერნომორის ტყის მრეწველ საზოგადოებას“.** საზოგადოება დაიმუშავებს ჩიბუხევის სახაზინო ტყეს ქუთაისის გუბერნიაში. ძირის თანხად ამხანაგობას ექმნება 750,000 მან. საზოგადოების დამაარსებელნი არიან: ი. ა. ვერმიშევი, ნ. ა. პატვაკანოვი, ინჟ.-ტეხნ. ნ. ე. ცურინოვი, მ. კ. ვერმიშევი დ. ბ. ავან-იუზბაშევი. ამხანაგობის გამგეობა პეტერბურგში იქმნება.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის მდივანმა, ხმოსანმა ჰრელაშვილმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ქალაქის **გარეშემო მთაგორიან ადგილების** მოწესრიგების შესახებ. ბ-ნმა ჰრელაშვილმა თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, დიდი ყურადღება მიაქცია მამა-დავითის გორას, რომლის გარეშემოც ხალხი მრავლად ესახლება, მაგრამ ქუჩები და მისასვლელი გზები-კი არა აქვს, ან თუ აქვს—პინგრეულ-მონგრეულია და უგეგმოდ გაყვანილი. ბ-ნ ჰრელაშვილის აზრით, ქალაქმა უნდა სთხოვოს ხაზინას მამა-დავითის სახელმწიფო მიწები თვით-მმართველობას გადასცეს. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა გუშინ ბ-ნ ჰრელაშვილის მოხსენება გადასცა საამშენებლო განყოფილებას და სთხოვა თავის მოსაზრება წარუდგინოს გამგეობას და აგრეთვე, თუ შესაძლებელია, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ კარგა ხანია გადასწყვიტა ალექსანდრეს ბაღის გვერდზედ გადააკეთოს ქალაქის სახლი და შიგ გამართოს **უფასო სამკითხველო** პუშკინის სახელობაზე. ტეხნიკოსის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვით, ამ სამკითხველოს მოსაწყობად დასჭირდება 8000 მან. სამკითხველოს გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვა გან-

---

გვიშუამდგომლა უმაღლეს მთავრობის წინაშე, თანახმად ჩვენის და ჩვენის ბლაღოჩინის მ. ი. ხატიაშვილის თხოვნისა, მოგვცემოდა ამ მხრივ უფასოდ შემწეობა მთავრობისაგან. აგრეთვე თუ მეორე დაპირებაც—გზების გაყვანა ხევსურეთზედ—შევვისრულდა, მაშინ ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ჩვენც ხალხში გავერევით, ან გავიტანთ რასმე გასასყიდათ, ან შემოვიტანთ. ხმა ერისა და და ხმა ღვთისაო, ჩვენ ჩვენსას არ ვზოგავთ და არ ვიცით ჩვენს რეკას შეისმენს და ფიაჯებს თუ არა. არიან გაიძვერანიც, რომელნიც მოკეთის სახელით მძარცველობენ, ე. ი. აბრიყვებენ ხალხს საჩივრებზე, სტყუებენ ერბოს, ფულს და ჰპირდებიან ათას რამეს. ჩადიან ტფილისში, აძლევენ ხუთ მანეთს რომელსამე აბლაკატს, შეაქვთ საჩივარი სასამართლოში და ბრუნდებიან შინ—გავაკეთეთო. მთავრობა, გამოძიებას ან სულ არ ნიშნავს, არ არა და ჩქარა რწმუნდება საჩივრის უსაფუძვლობას და სტოვებს უყურადღებოდ. ეს რომ ეძლევა დავიწყებას, ახლა სხვას იწყებენ; ასე ხან გამოშვებით ისედაც ფულარა ხალხს სულსა ჰხდიან. ეხლაც შემომესმა, ვითომც ვიღაცები აბრიყვებენ ხალხს, იჩივლეთ, არ გვინდა ფერშალი და აფთიაქიო, არ გვინდა გზებიო, არ გვინდა სკოლა და არც სხვებიო; ყველა ესენი ჩვენ ბარგად გაგვიხდებაო და წელს მოგვწყვეტავსო. ისიც შამაგონეს, რომ ამ საქმეს ოცი თუმანი ესაჭიროებაო. თქვენ არ გჯერათ, მაგრამ დაუჯერებელი კი არის.

ხევსურის გაბრიყვება ძალიან ადვილია ქალაქის ქუჩებში ნატანტალევის თავისავე მსგავსის ხევსურისაგან. ხევსური ისედაც მოდავიდარაბე ხალხია. ამისი მაგალითები ბევრია. ავიღოთ თუნდ ცოლებით ვაჭრობა. დათვისხელს აბას ძროხების გამრავლება მოუნდა და ცოლს შეწუხება დაუწყო. ცოლი გაექცა და სხვას ეცოლა აბასაც ეს უნდოდა. მაშინვე მოიწვია მერჯულეები და უთხრა, სამართალი გადამიჭერითო. ჩემი ცოლი ხუთ წელს ვინახე, ვასვი, ვაჭამე, გავზარდე და ახლა აბიკაანთ უშიამ წამართოო. ესენიც, რასაკვირველია, ჩაყლაპულები, იღებენ უშიას მხარეს და უწყვეტენ 12 ძროხას და ამით „დაარიგებენ“. გაქეზებული და გაქნილი აბა ახლა ქალის დედა-ძმათაც ედავება „ძილა“ (ასე უწოდებს სახელს) ხუთ წელ უბით გავზარდე და ახლა სხვას მიეცითო, ან სამართალ მომეცით ან დაგთოფავთო! ისინიც შეშინებულნი ორს ძროხას აძლევენ. სახელიც უფრო უდიდდება და ეს ვაჭკაცობაში უფასდება. ქალი ხომ არ დაელევა აბას, ეს მეორე იყო და ახლა მესამეს მოიყვანს. რა გვირგვინის ტოტები დააწყდებათ ჯვარის წერაში. დღეს ერთს მოიყვანენ, ხვალ მეორეს, დღეს ერთი წავა, ხვალ მეორე მოვა თავის ფეხით. ამათი ცხოვრება ამ მხრივ ბევრით წააგავს ბუშმენებისას. აქ პოლიგამიაც (მრავალ ცოლობა) და პოლიანდრიაც (მრავალ ქმრობა) ხელი-ხელ გადამბულები დაიარებიან. ეს არის უდიდესი ბოროტება ამ მთების შვილებისა. ადგილობრივი სამღვდელოება შეძლებისა და-გვარად ებრძვის ამ სენს. ბ-ნი პავლიაშვილი („ცნობის ფურცელი“ 18 ნოემბერ.) უსაბუთოდ ეპლარძუნება ფშავ-ხევსურეთის სამღვდელოებას და ამბობს, ვითომდა იგი თავის მოვალეობას ჰღალატობდეს. ბ-ნი პავლიაშვილი სულ მცირედს ხანს დარჩომილა ხევსურეთში, ისიც ს. ბარისახოში. ერთხელ ასულა ს. როშკაში და იმის იქით ფეხი არ გადაუდგამს. დღეს კი ისეთის კილოთი მოგვიყვება საუბარს ხევსურეთსა და მისს სამღვდელოებაზედ, რომ გეგონება, მთელი ხევსურეთი ბიჯით დაუვლიაო. სასაცილოა. სასაცილოა ზოგიერთი მისი მსჯელობა, მაგალითად, შატილზედ, ბატალიკოზედ, როშკაზედ და ხახმატზედ. აგრეთვე შეცდომით ამბობს, ბარისახოს „პრიუტი“ ხევსურების არა სურვილით დაიხურაო. მისი შეხედულებაც და მსჯელობაც ხევსურეთის სამღვდელოების ადგილობრივ წყაროებზედ სიმართლეს ბევრად მოკლებულია და სახეში მისაღები არ არის. თუ სადმე სამღვდელოება გაჭირვებაშია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ხევსურეთშია, იმათი ჯამაგირი 50—60 თუმანი, რომელიც განახევრებულია ათასგვარ გამოსარიცხებით და გამესამედებული უდროვოდ მიუღებლობისაგან, ერთი ორადაც რომ შეიკეცოს, კიდევ ცოტა იქნება იმათის ტანჯვით ცხოვრების ასატანად. მთელი ხევსურეთის სამღვდელოება გაჭირვების გამო წინდაწინვე ჰყიდის თავის ჯამაგირს გარეშე პირზედ. ჩემი თუ არა გჯერათ, მიბრძანდით ქ. დუშეთში „ბიჭიკოსთან“,—ეს პატარა ბანკია ფშავ-ხევსურეთის სამღვდელოებისა—და ის დაგარწმუნებთ. ან კიდევ მიბძანდით თვალივში ბ-ნ შანიძესთან და ის გეტყვით, თუ რამდენი მღვდლის სახლობა და თვით მღვდელი დაუხსნია უკიდურეს გაჭირვებისაგან. დღეს ხევსურეთის სამღვდელოება ამ ყინვებისაგან აუწერელს გაჭირვებაშია და შიმშილით წივის. გუშინ ხევსური მოვიდა და იჩივლა, მღვდელმა წისქვილიდან ხრილი მომპარაო. რო ვკითხე, რად უნდოდა მეთქი? მიპასუხა—საჭმელადაო. ამაზედ მეტი გაჭირვება ღა იქნება მღვდელი ხრილს იპარავდეს საჭმელად?! თუ ასე კარგი იყო ხევსურეთში სამსახური, ბ-ნმა პავლიაშვილმა რად მიატოვა იქაურობა საჩქაროდ?

ჩვენ ერთი ეს გვაკვირვებს, რატომ უნდა ხევსურეთის მღვდლებმა დააარსონ მუქთად სკოლები და ასწავლონ? განა იმ უწყებას, რომელსაც ეს საგანი ექვემდებარება, ფული შემოელია? მაშ რად მრავლდება სხვაგან სკოლები? ჩვენ რაღა დავაშავეთ? ვიმეორებ, აქ სამღვდელოება ძალიან გაჭირვებულია. ვინ მოდის აქეთ სამსახურისათვის? ვინ და ის, ვისაც ყელზედ თოკი აბია.

აი სურათი აქ სამსახურისა. ხევსური ღრიალებს რომელსამე ფრიალ კლდიდან, სადაც მიკოწიწებია ბუდე, (მათი ძახილი ათს ვერსზედ მიდის მთების შემწეობით) „ღვდელ-დიაკვან უთხროდით, წამოეთარნენ, კაც გადაიცვალაო. მღვდელი იცვამს გაბლანდულს ქალმებს, იკეთებს წრიაპებს, ირჰობს წელში ნაჯახს საფეხურების გამოსაჭრელად ყინულში და მიდის. დიაკვანიც ამასვე სჩადის. თან თოკი მიაქვთ, რომ გაჭირვების დროს ან თოკი ჩაუწვდინონ ან თოკით დაიძვროს, ვინიცობაა მალაყი ითამაშა და გაკოტრიალდა. ერთს ამისთანა მოგზაურობის დროს, როდესაც მღვდელი დაშორდა დიაკვანს და მნათეს, უცბად წინ აემართათ ჩვენი სახლი-კაცი დავითო (დათვი). მნათემ მაშინათვე სალამი მიართო და მისთავაზა ხის დიდის თეფშით დოხანი (მოხარშული სიმინდი ლობიო არეული ხორბალი). დავითომ ჩამოართო პირით და რო გემო არ მოეწონა, შემოუსო ვაჟკაცურად მარჯვენა, მთლიად ააშორა დედამიწას და გასტყორცნა ღრანტეში. დიაკვანს ეგონა, მე ყურადღებას არ მაქცევსო და გვერდზედ აპირებდა გავლას, ძაგრამ მოსტყუვდა: მოუტრიალდა მეთევზე ლოპიანასავით სისწრაფით, სანამ ერთს ნაბიჯს გადასდგამდა, მოუსო ახლა ცალია და ჯვარის მამის ლავაშივით გააკრა მიწასა. მერმე შეჯდა ზედ და ურტყა და ურტყა, „აჰ! ჩემს სამყოფში რას დეეხეტებითო“? საცოდავი გაჰკიოდა შველას და დავითო კიდევ უჟაპუნებდა. ბოლოს თავი მოიმკვდარუნა და დავითოც განშორდა. აი, ასე გაჭირვებულია აქ ცხოვრება.

ბარისახოელი

სახილველად ქალაქის გამგეობას ამ დღეებში ექნება სხდომა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ, არის რამე ამბავი მიღებული საზოგადოებაში, რომ რუსეთი მონაწილეობას არ იღებს **სან-ლუის საერთაშორისო გამოფენაშიო.**

ბათუმის ქალაქის საბჭო

9 თებერვალი

ამ დღეს დანიშნული კრება ძლივს შესდგა. ძლივს, ვამბობ, იმიტომ, რომ მთელი ერთი საათი ცამეტი ხმოსანი მეთოთხმეტეს უცდიდა, რათა სხდომის გახსნა შესაძლებელი ყოფილიყო.

ეს ბათუმის საბჭოსათვის ახალი სენი გახლავთ, შემოტანილი იმ ახალ ხმოსნებისაგან, რომელნიც ასე თავს იკლავდნენ შარშან და გამწარებით ებრძოდნენ წინანდელ ხმოსნებს, რომ მათი ადგილები დაეჭირათ და დაენახვებინათ ყველასათვის, თუ როგორ უნდა ხმოსნობა. დიახაც, დაგვანახვეს! წარმოიდგინეთ საბჭო, რომელშიაც ოთხი მეხუთედი ხმას, კრინტს არა სძრავს და თუ ვინმე ლაპარაკობს, ისინიც რაღაც იღბლად დარჩენილნი ძველი ხმოსანნი არიან, ახლები კი..... ოჰ, ბათუმის საბჭოს ახალი ხმოსნები, ახალი ხმოსნები! ერთი ჩემი მეგობარი მარწმუნებდა, რომ მთელი წელიწადია საბჭოში დავდივარ, რომ ერთი ახალი ხმოსნის (რომელსაც დიდ თანამდებობაზედ ასახელებდნენ კანდიდატათ) ხმა გამეგონაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მთელის წლის განმავლობაში ვერ ჰღირსებია ამას. ამ უკანასკნელს სხდომაზედ თავმჯდომარე იმას რაღაზედაც შეეკითხა. ჩემს მეგობარს მივახარე, აი, ახლა აგისრულდება სურვილი, გაიგონებ რა ხმა აქვს ამ ვალოცვილს—ბანი თუ მოძახილი მეთქი; მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხმოსანმა შეკითხვაზედ მხოლოდ თავი გაიქნია, უარი განაცხადა, ხმა მაინც არ ამოუღია. ზოგიერთ აქაურების აზრით, ალბად, გამგეობაა დამნაშავე, რომ ხმოსანთა უმეტესობა ხმას არ იღებს, სხდომებზედ ზის წყნარად მშვიდად და უძრავადაც. 9 თებერვალსაც, პირველად თავმჯდომარემ თ. ანდრონიკაშვილმა კრებას მოახსენა ომის ამბავი და განზრახვა ქალაქისა შემწეობის აღმოჩენისა დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახთათვის. ქალაქის მოურავმა მოახსენა, რომ ქალაქს თავისუფალი ფული ამ ჟამად არ მოეპოვება და წინადადება მისცა, გადაედო საბჭოს განზრახული თეატრის კონკურსის გამოცხადება და იქიდან განთავისუფლებული 2700 მანეთი გადაედო შესაწევრად. ხმოსანმა სკლიარევსკიმ განაცხადა, რომ ისეთმა პატარა ქალაქმა, როგორიც არის სოხუმი, ათი ათასი მანეთი შესწირა და ბათუმისათვის ხომ სირცხვილი იქნება მხოლოდ 2700 მანეთის შეწირვაო. ერთხმად გადასწყვიტეს ათი ათას მანეთის შემწეობა სათადარიგო თანხიდან: ოთხი ათასი მანეთი—წითელ ჯვარსა და ექვსი ათასი მანეთი კი—სამხედრო გემთა ამშენებელ საგანგებო კომიტეტს. ხმოს. ი. პანასევიჩმა წინადადება შეიტანა, რომ ქალაქმა დაარსოს ერთი სტიპენდია რომელსამე უმაღლეს სასწავლებელში ერთ-ერთ იმ ყმაწვილთათვის, რომელიც წრეულს გაათავებს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიას. წინადადება მიღებულ იქმნა სიამოვნებით, მხოლოდ ხმოსანმა ლ. ქიქოძემ შენიშნა, რომ უსათუოდ ამ სტიპენდიას განსვენებულ ლ. ასათიანის სახელი დაერქვასო, მით უფროო, რომ გიმნაზიაც იმის მეცადინეობით არის დაარსებული და საბჭოს დადგენილებაც არისო, რომ იმის სახელობაზე სამი სტიპენდია უნდა დანიშნულიყოო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და ამ რიგად ერთ-ერთი ყმაწვილი, რომელიც წრეულს გაათავებს ვაჟთა გიმნაზიას და რომლის მშობლებიც ბათუმის მცხოვრებნი არიან, მიიღებს ასათიანის სახელობის სტიპენდიას. სტეპენდიანტის ამორჩევა საბჭოზე იქნება დამოკიდებული.

ვსარგებლობ შემთხვევით, რაკი ხსენებულ იქმნა სახელი ყოფილ ბათუმის მოურავის განსვენებულ ლ. ასათიანისა. ამ ორის წლის წინად იმის განსვენების დღეს საგანგებო საბჭოს სხდომაზე ერთხმად დადგენილ იქმნა, სხვათა შორის, რომ საბჭოს დარბაზში ჩამოკიდებულ იქმნას განსვენებულის პორტრეტი იმ ღვაწლის აღსანიშნავად, რომელიც იმან დასდო ბათუმს შვიდი წლის ერთგულ და სამაგალითო სამსახურით. რას მოასწავებს ასეთი დავიწყება იმ დადგენილებისა, რომელიც ყველას კარგად ახსოვს და რომლის აუსრულებლობის შესახებ თითქმის ყოველ კრებაზე ისმის საბჭოს დარბაზში ხალხში? საბჭოს დადგენილება ორი წელიწადია დამტკიცებულია; ნეტა რაღა უშლის სისრულეში მოყვანას? ძლიერ საინტერესოა ამის გაგება ყველასათვის, თუ კიდევ გაგრძელდება ასეთი დავიწყება.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს ტომსკიდან დეპეშით ატყობინებენ: „ტომსკში მობილიზაცია გამოცხადდა. აქაურ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის მრავალი პროფესორი, მასწავლებელი და ლაბორანტი ომში წაიყვანეს. პოლიტეხნიკუმში სწავლა შეჩერებულია“.

◆ კალუგაში მოხდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრების დროს სახალხო სკოლების დირექტორმა შემდეგი განცხადება შეიტანა: „ჩემის დაკვირვებით საზოგადოების ბევრ გადაწყვეტილებას ადგენენ ზოგიერთა ისეთ კაცების გავლენით, რომელთაც მასწავლებლის წოდებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, ამიტომ სასურველია, რომ ამა თუ იმ დადგენილების დროს მასწავლებელნი გარეშე პირთა გავლენით არ იქცეოდნენო“. მათის ნამდვილ აზრის გასაგებად დირექტორმა წინადადება შეიტანა, ხმების დათვლის დროს ნამდვილი მასწავლებლები დამხმარებელ წევრთაგან გარჩეულ იქმნენო. კრება დირექტორის აზრს—მასწავლებელთა თავისუფალ მოქმედების შესახებ—დაეთანხმა, მაგრამ უარჰყო იმის აზრი, მასწავლებელთა დამხმარებელ წევრთაგან გარჩევის შესახებ.

◆ 5 თებერვალს პეტერბურგში გარდაიცვალა ს. საფონოვი, რომელიც „პეჩორინ“-ის ფსევდონიმით რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში მწერლობდა. პეჩორინმა თავის ლექსებით რამდენიმე წლის წინად აკადემიისგან პუშკინის სახელობის პრემია მიიღო. პეჩორინმა თავის ოჯახს არაფერი დაუტოვა, ასე რომ განსვენებულის დამარხვა იმის მეგობრებმა იკისრეს.

◆ ეკატერინოსლავის გუბერნატორმა გამოაცხადა დადგენილება ეკატერინოსლავის გუბერნიის მცხოვრებთათვის, რომელიც შეეხება შინაგან წესრიგის თვალ-ყურის გდებას, საიდუმლო სახლებ-საკრებულოებს, იარაღის ტარების აკრძალვას, უკანონო შემოწირულებათა შეკრებას, მუშათა შორის ბოროტ სწავლისა და ხმების გავრცელების განდევნას, ღამის დარაჯთა დაარსებას და ამ დადგენილებათა დარღვევისთვის სასჯელს („პრიდ. კრ.“).

◆ ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოების კომიტეტი ხელმეორედ არჩევს ებრაელთათვის უმაღლეს სემინარიის დაარსების საქმეს („ბაკ. იზ.“).

სასამართლო

თავ-დასხმა

1903 წლის 28 თებერვალს, ღამე, სადგურ ვარვარინოს ხელოსანს ანდრია კუმსკოის თავს დასცემიან სამი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველნი. კუმსკოის ცოლს გაუგია ხმაურობა, წამომდგარა და შეჰკითხებია, ვინა ხართო. ავაზაკებს უპასუხნიათ, თქვენს სახელზე ტელეგრამა არის, გაგვიღეთ კარიო. ქალს ჯერ სარწმუნოდ მიუღია ეს ამბავი, ხოლო როცა გაუღია კარები და რამდენიმე კაცი შევარდნილა, უცებ ქმრისათვის უცნობებია, ავაზაკები თავს დაგვესხნენო, რის შემდეგაც ცოლ-ქმარს საჩქაროდ გაუღიათ მეორე კარები და კარში გამოცვივნულან. ბოროტ-განმზრახველთაც მოუვლიათ სახლისათვის და დაუჭერიათ ცოლ-ქმარი. ცოლს შიშისაგან გული წასვლია. ბოროტ-განმზრახველებს ქმრისთვის თოკით შეუკრავთ ხელ-ფეხი და ისე დაუგდიათ ეზოში. ერთმა ესეც არ აკმარა თურმე კუმსკოის, ხელი ყელში წაუჭირა და უთხრა, ხმა არ ამოიღო, თორემ დაგახრჩობო. თოკით შეკოჭილს კუმსკოის თავს დასდგომია ერთი ავაზაკი, ხოლო მეორე, რომელსაც სახე ნახშირით ჰქონია შემურული, დაბრუნებულა მესამე ამხანაგთან ერთად სახლში და დაუწყია სახლში ფულებისა და ძვირფას ნივთების ძებნა. კარგა ხანს ფათურის შემდეგ გაუნთავისუფლებიათ კუმსკოი, წაუყვანიათ სახლში და უთქვამთ, რაც ფული გაქვს, მოგვეცი, თორემ მოგკლავთო. შეშინებულს კუმსკოის უთქვამს, ოღონდ ნუ მომკლავთ და რაც რამე გამაჩნია, წაიღეთო. ბოროტ-მომქმედებს ფულად წაუღიათ 82 მან. 63 კაპ. ხოლო ნივთები: ორი ოქროს ბეჭედი, ერთი ვერცხლის საათი, 6 ვერცხლის კოვზი და სხვა, სულ 66 მანეთისა. ამ საქმის გამოსაძიებლად ადგილობრივ მისულა ქვიშხეთის მამასახლისი დარაჯებით. სადგურის ტელეგრაფისტს, კონსტანტინე ხიხაძეს, როგორც კი დაუნახავს მამასახლისი, გამოვარდნილა სახლიდან და გადასამალავად ფუთაში გამოკრული ნივთები წაუღია. ეს შეუნიშნავთ იმის ახლო ნაცნობებს. მამასახლისს, სხვათა შორის, გაუჩხრეკია ვარვარინოს სადგურის მუშების სადგომი, სადაც უნახავს ერთი საეჭვო პირი, ცხინვალის მცხოვრები ივანე გიორგაძე, რომელიც დაუპატიმრებია და ქვიშხეთის სოფლის საზოგადოების სამმართველოში მიუყვანია. სამმართველოში ამ დროს ყოფილა გაძარცული ანდრია კუმსკოი, რომელსაც უცვნია გიორგაძე და მამასახლისისათვის განუცხადებია, ჩემი გამძარცველთაგან ერთ ერთი ეგ გიორგაძეა, კარგად ვიცანიო. ქარგა ხანს გამოკითხვის შემდეგ გიორგაძე გამოტეხილა. უთქვამს, ამ ავაზაკობის ჩადენის დროს ჩემთან მონაწილეობას იღებდა ვარვარინოს ტელეგრაფისტი კონსტანტინე ხიხაძეო, ხოლო მეორეს ვინაობა არ გაუმხელია. ხიხაძე გაუჩხრეკიათ და როცა მისთვის ტანისამოსი გაუხდიათ, აღმოუჩენიათ, რომ ტანზე ძაფით ჩამოკიდებული ჰქონია კუმსკოის ოქროს ბეჭედი და საათი. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ამ საქმეში ეჭვი შეუტანიათ აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებ პარმენ, იგივე ნიკოლოზ დავითულიანზე. ეს სამნი პასუხის გებაში მიუციათ. ტფილისის ოლქის სასამართლოს, როდესაც ეს საქმე განუხილავს, დამნაშავედ უცვნია სამივე ბრალდებული და გადაუწყვეტია, ყველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: ტელეგრაფისტის კონსტანტინე ხიხაძისა და ივანე გიორგაძისათვის 12 წლით, ხოლო პავლე დავითულიანისათვის 8 წლით. კონსტანტინე ხიხაძე გორის საპატიმროდან უკვე გაქცეულა. დავითულიანს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, სადაც გუშინწინ მას იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ნ. ზ. ელიავა. სამოსამართლო პალატამ, კარგა ხანს თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დავითულიანი უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი, ხოლო დანარჩენ ბრალდებულთა ხიხაძისა და გიორგაძის შესახებ პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დაბა-სოფლები

ხიდისთავი (გურია). ერთად-ერთს ნუგეშს ჩვენსას შეადგენდა ბოგა, ე. ი. ხიდი, რომელიც ბაზრის თავში იყო, მდინარე გუბაზეულზე. ხიდისთავი მდებარეობს შუა გურიაში და ამიტომ აქ დიდი მიმოსვლაა. ამ ხიდთან ერთდება ექვსი უმთავრესი გზა: ჩოხატაურისა, ნაგომრისა, ოზურგეთისა და სხვა. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ზემოხსენებული ბოგა გასულს წელს წყალდიდობის დროს დაგვეკარგა და მხოლოდ ცემენტის ბურჯები-ღა დაგვრჩა, რომლებიც დღესაც არის. ამ ხიდის შეკეთებას მაინცა და მაინც ბევრი არაფერი უნდა. ეხლა ბურჯებზედ გადებულია ორი ხე და ზედ დაუჭედიათ ფიცრების ნატეხები, რომელზედაც გასაჭირია გავლა. ამ დღეებში რამდენჯერმე დავინახე კაცი დათოხებული მიდიოდა ამ ხიდზე და თან ლოცულობდა, ღმერთო მშვიდობით გამიყვანე გაღმაო. ჯერ-ჯერობით ერთი ადამიანი იმსხვერპლა და შემდეგ რა იქნება, არ ვიცით.

ბ. გ—ძე.

დ. ჩოხატაური (გურია). ეს ორი წელიწადია, რაც აქ დუქნების გატეხას მოუხშირეს. ქურდი ქვითკირის დუქნის უკანა კარს ბურღავდა, ხელს შეუყოფდა, სარაზავს აიღებდა და შიგ შედიოდა. ასე და ამნაირად ქურდის მსხვერპლი შეიქმნა ათ დუქნამდე ბევრი ეცადნენ, მაგრამ ქურდი ვერ აღმოაჩინეს. დღეს კი საქმე სხვაფრივ დატრიალდა. საღამოს აქაური ვაჭარი ა. კალანდაძე თავისს ნოქრით სახლში წასულა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ უკანვე დაბრუნებულა. ორივენი დუქანში შესულან. დუქნის პატრონს ფულის ანგარიში დაუწყია, რადგან მეორე დღეს საქონლისთვის მიდიოდა. ნოქარი-კი უკან ოთახში შესულა, ტახტის ქვეშ კალოში გამოუღია და კაცისთვის ხელი უტაცნია. შიშისაგან დაუყვირია. როდესაც პატრონი მიჰშველებია, გამოუთრევიათ ერთი ვაჟბატონი ნ. ც—ძე. როცა ჰკითხეს, რად იყავ აქაო, საშარვლე მინდოდაო. როგორც საქმის გარემოებიდან აღმოჩნდა, ამ დღეს ორ გზის შესულა ეს ბიჭი ამ დუქანში, ფულის ანგარ შისთვის უყურებია, მარჯვე დრო უშოვნია და ტ ტის ქვეშ შემალულა. რადგან კარები რკინით ფილა დაჭედილი, გარედან გამობურღვა არ რხდებოდა. კარგი, რომ შემთხვევამ დააჭერინა ქურდი ადვილად შესაძლოა სხვა დუქნის გამტეხიც მოაჩინოს ამ გარემოებამ.

ჩვენში წელს სიმინდის მოსავალი ცოტა იყო, რა დგან კარგი მიწები სულ დაუთესავი დარჩა. პელა კი ჯერ-ჯერობით არ ეტყობა. ღორის ჭირ ძლიერ მძვინვარებს. არსად არ გაუშვა ღორი. არ ფერი წამლობა არ მიუდგა.

—ძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 თებერვალი

აკვილა. მალიანო დემარსს ძლიერმა მიწისძვრამ თვალ-საჩინო ზარალი მიაყენა.

მოსკოვი. პეტერბურგიდან მოვიდა მსწრაფ მატარებელი 5 ვაგონით ამ ვაგონებში შემოღ ბულია ორთქლ-ჭავლით გათბობის ახალი სისტემ, რომელიც დამყარებულია სპეციალისტთა კომის მიერ მოწონებულ ახლად გამოგონილ სატურატორის აპარატზე.

კიშინევი. დღეს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე კიშინევის მოქალაქეთა დანი და იაკობ პეტრუსკოსებისა, რომელთაც იცკა იუდკა კრეშნიკოვების მკვლელობა და თავდასხ და უშამირსკის დაჭრა ჰბრალდებოდათ. ორთ პეტრუსკოს მიუსაჯეს ოთხ-ოთხის წლით კატო რგაში გაგზავნა. საჩივარი ზარალის გამო არ დააკმაყოფილეს.

მოსკოვი. მოსკოვის საკურნით საერობო კრებამ გადასწყვიტა: შევუერთდეთ იჯარადარია შუამდგომლობას, რომელნიც მოსკოვ-ბოგოროდსკ-კორჟახის რკინის გზის გაკეთების ნებართვას თხოულობენ; ამასთან კრებამ დაადგინა, ვითხოვოთ, კრიუკოვიდან რეველს მიმავალ რკინის გზას კლინისკენ შტო ჰქონდესო.

13 თებერვალი

პეტერბურგი. ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფულონი პეტერბურგის გრადონაჩალნიკად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

განცხადებან

ყვირილის თეატრის ამხანაგობის
გამგეობა

აცხადებს, რომ 20 თებერვალს, დღით პარასკევ საღამოს 5 საათზე დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ყვირილის ნორმალურ სკოლის დარბა ში ყვირილის თეატრის ამხანაგობისა. განსახილველი საგანია: მოიჯარადრე ს. ცერცვაძის პირობის განხილვა. მოსაწვევი კერძო წერილები წევრებს აღარ გაეგზავნებათ. (3—1)

ГРАММОФОНЪ МОНАРХЪ

ГЛАВНОЕ КАВКАЗСКОЕ АГЕНТСТВО
О—ва Граммофонъ въ Россій
Тифлисъ, Головинскій просп. домъ Абіянца № 7.
Телеграф. адресъ:
Тифлисъ
«ГРАММО-КОМПАНІЯ»
(Телефонъ № 69).

Большой выборъ: самыхъ усовершенствованныхъ салонныхъ и концертныхъ Граммофоновъ.

Громадный выборъ: безшумныхъ пластинокъ знаменитыхъ извѣстныхъ певцовъ какъ-то: Русскихъ, Грузинскихъ, Татарскихъ, Персидскихъ, Турецкихъ, Польскихъ, Французскихъ, Англійскихъ, Италіанскихъ, Нѣмецкихъ и проч.

При выборѣ пластинокъ, просимъ обращать вниманіе на наше фабричное клеймо „Пишущій Ангелъ“, безъ котораго пластинки безусловно поддѣлка.

При складѣ имѣется спеціальная мастерская, въ конторой могутъ быть въ случаѣ надобности, исправляемый граммофоны.

За правильный ходъ Граммофоновъ выдается ручательство на три года.

Упаковка товара производится за счетъ покупателя.

пересылка аппаратовъ на всѣ станціи ж. д. въ предѣлахъ европейск. Ро (Лѣтомъ включая пристани водныхъ путей) производится скла за свой счетъ.

почтовая пересылка принимается складомъ на свой счетъ въ половинномъ размѣрѣ.

По воскреснымъ днямъ магазинъ закрытъ. Въ другіе дни открытъ отъ 8½ ч. утра до 9 ч. вечера.

Требуйте иллюстрирован. каталоги. Гг. оптовымъ покупателямъ высылаются новые прейсъ-куранты по востребованію. (10—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 13 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა. ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.